საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№164/13

2018 წელი, 21 მაისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების სოფიო კილაძის, რატი იონათამიშვილის, ლევან ბეჟანიძის, ირაკლი ბერაიას, ვანო ზარდიაშვილის, დავით მათიკაშვილის, სავალან მირზოევის, დიმიტრი მხეიძის, ანრი ოხანაშვილის, მერაბ ქვარაიას და დიმიტრი ცქიტიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „სოციალური მუშაობის შესახებ", „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (N07-3/157; 26.04.2018) საქართველოს კანონის პროექტების I მოსმენით განხილვის ვადა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტებს, 2018 წლის 21 მაისიდან გაუგრძელდეთ ორი კვირით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ირაკლი კობახიძე